

ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება

ქ. ქუთაისი

23.06.2022წ.

ერთი მხრივ, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდეგში - „გამყიდველი“), წარმოდგენილი, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სახით, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის მიერ

მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, თავის მხრივ წარმოდგენილი სახით, მოქმედი სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ

მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

N	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ს საფუძველი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1					
2					
3					
4					
5					

სსიპ
სსიპ
სსიპ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივნისის №1068 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„ხელშეკრულების“ პირობების თანახმად, „გამყიდველი“ უსასყიდლოდ გადასცემს, ხოლო „მყიდველი“ თანასაკუთრებაში იღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ: ქალაქი წყალტუბო, პირველი სადარბაზო, სართული N2, ბინა N11: 57.40 კვ.მ. (ს/კ 29.08.35.125.01.011) (შემდეგში, „ქონება“).

მუხლი 2. „მხარეთა“ უფლება-მოვალეობები

- 2.1 „მყიდველს“ არ აქვს „ქონების“ გასხვისების უფლება „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.
- 2.2 „მყიდველი“ ვალდებულია „გამყიდველის“ მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს“ წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.
- 2.3 მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ ერთმანეთს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების გეროვნად, სრულად და დროულად შესრულება.

მუხლი 3. „ხელშეკრულების“ განსაკუთრებული პირობები

- 3.1 „მყიდველს“ „ქონებაზე“ თანასაკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების“ გაფორმების და თანასაკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში, „რეესტრში“) რეგისტრაციის მომენტიდან.
- 3.2 „ქონებაზე“ საკუთრების უფლებასთან ერთად „რეესტრში“ რეგისტრირდება „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლით გათვალისწინებული „ქონების“ განკარგვის აკრძალვა.
- 3.3 „მყიდველი“ „ხელშეკრულების“ დადების მომენტიდან არ უნდა სარგებლობდეს ან ფლობდეს რაიმე საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართობს, მოპოვებულს მისი დეენილის სტატუსიდან გამომდინარე, გარდა „ქონებისა“.
- 3.4 იმ შემთხვევაში, თუ „ხელშეკრულების“ გაფორმების შემდგომ აღმოჩნდება, რომ „მყიდველი“ „ხელშეკრულების“ გაფორმების მომენტამდე სარგებლობდა ან ფლობდა რაიმე საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართობს, მოპოვებულს მისი დეენილის სტატუსიდან გამომდინარე, გარდა „ქონებისა“, აღნიშნული ფაქტი მიიჩნევა „ხელშეკრულების“ ბათილობის საფუძველად.

- 3.5 „ხელშეკრულების“ 3.4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „გამყიდველის“ წერილობითი მიმართვის საფუძველზე „რეესტრში“ უქმდება „ხელშეკრულების“ საფუძველზე წარმომოხილი „მყიდველის“ საკუთრების უფლების რეგისტრაცია, „ქონება“ ბრუნდება სახელწიფო საკუთრებაში და შესაბამისად, წყდება „ხელშეკრულება. „მყიდველს“ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.
- 3.6 „ხელშეკრულების“ გაფორმების შემდეგ, „მყიდველს“ არ აქვს უფლება, მისი დეენილის სტატუსიდან გამომდინარე, მოითხოვოს სახელშეწიფოსაგან ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტისაგან, ან სხვა პირისაგან რაიმე სახის კომპენსაცია ან უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.
- 3.7 „მყიდველს“ უფლება არ აქვს იპოთეკის უფლებით დატვირთვის „ქონება“ „ხელშეკრულების“ 2.1. მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.
- 3.8 „მყიდველს“ უფლება აქვს „ქონება“ გასცეს სარგებლობაში.
- 3.9 „ხელშეკრულების“ 2.1. მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ, „ქონების“ გასხვისებაზე თანხმობა გაცემულად მიიჩნევა „გამყიდველის“ მიერ და „მყიდველის“ მიერ „ქონების“ გასხვისებისას ახალ შემძენზე არ გადავა „ხელშეკრულების“ 2.1., 3.3. და 3.6. მუხლებით გათვალისწინებული პირობები.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

- 4.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვნაი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის“ კონტროლის ფარგლებს და შესაბამის „მხარეს“ არ შეუძლო მისი წინასწარ განჭვრეტა, თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საზოგადოებრივ და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზეაეებით ან სხვა მოვლენით.
- 4.2 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე მხარესხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნაი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან

გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ან მხარის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

4.3 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

4.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შერეების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწვეს შერეების ხანგრძლივობის შესაბამისად.

4.5 ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 5. შეტყობინებები

5.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნას პირადად ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

5.2 „ხელშეკრულების“ 5.1. მუხლის მიზნებისათვის, მხარეთა რეკვიზიტებია:

5.2.1. „გამყიდველის“ შემთხვევაში:

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზირი №49ა, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: ·

5.2.2. „მყიდველის“ შემთხვევაში:

„მისტრის პირი“
სსიპი №

„საბარო“

ქალაქი წყალტუბო, პირველი სადარბაზო, სართული N2, ბინა N11; 57.40 კვ.მ. (ს/კ 29.08.35.125.01.011) (შემდეგში, „ქონება“).

„მყიდველი“ ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ ბველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორექსონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩათვლება ჩაბარებულად.

და კანონიერი წარმომადგენლის

მინდობილი პირი

✓

კანონიერი წარმომადგენელი.

✓

და კანონიერი წარმომადგენლის

მინდობილი პირი.

✓

ანა ჩადუნელი (პ/ნ 60001150746)

✓

არქ
ნაქ
ა.
.....

სამართლებრივი მსახურების სააგენტო
საქართველოს ადვოკატთა კავშირის სააგენტო
შტაბი №535
თბილისი - 13-06-100
ქ.აკოტინა.